№ 663 სამშაბათი, 27 ოქტომბერი. 1896—1898 სამშაბათი, 27 ოქტომბერი № 663

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილ. 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის-მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363




ღვინის სარდაფი

„იყალთო"

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსიას" ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავლენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

„იყალთო"

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

Винный складъ
Князей Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
„ИКАЛТО"
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—37)

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
I. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 67)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს შ. ქ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საყისთვს.
სამკურნალო დირექტორი ს. გ. თოფურია.
Лечебница С. Г. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** ქართული საღამო ოდესაში. ოდესაში ქართველები დიდი ხანია სცხოვრობენ და დღითი დღე მატულობს, მეტადრე ბევრია ახალგაზდობა უნივერსიტეტში თუ სხვა საშუალო სასწავლებლებში. ოდესელ სტუდენტებს თავიანთ ღარიბ ამხანაგთა სასარგებლოდ განუზრახავთ ქართულ საღამოს გამართვა, როგორც სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებშიაც იმართება ხოლმე. სხვათა შორის ქართულ საღამოზე ოდესელ საზოგადოებას გააცნობენ ქართულ ეროვნულ გალობა-სიმღერებს, რისთვისაც სტუდენტებს მიუმართავთ ბ-ნ მელ. ბალანჩივაძისათვის, რომელმაც უნდა შეადგინოს ხორო და შეასწავლოს ჩვენებური ხმები. ხორო თურმე ისტორიულს ტანისამოსებში იქნება მორთული და სხვა.

ვუსურვებთ ოდესელ სტუდენტებს სრულს გამარჯვებას ნივთიერად და ზნეობრივადაც.

*** თავ. ხერხეულიძის ანდერძი. მკითხველებმა უკვე უწყიან ჩვენის გაზეთიდან, რომ ამ ერთი თვის წინად ლაპარაკი მოუვიდათ თავ. ილია ხერხეულიძეს და ნიკ. ი. ა—ძეს. ლაპარაკი გათავდა პირადი შეურაცხყოფით, რომელსაც მოჰყვა ხმალში გამოსვლა. ხმალში მძიმედ დაიჭრა ბარძაყში თავ. ი. ხერხეულიძე. ექიმებმა საჭიროდ სცნეს ფეხის მოჭრა და მოსჭრეს კიდეც, მაგრამ თავ. ხერხეულიძე ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ასე საზარლად გათავდა ეს ფრიად სამწუხარო საქმე.

ეხლა როგორც გვაუწყებენ განსვენებულ თავ. ი. ხერხეულიძეს ანდერძი დაუტოვებია, რომელშიაც თურმე ნათქვამია, რომ ჩემი ქონებიდან 5,000 მან. გადაეცეს სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტს ორის მოწაფის აღსაზრდელადაო.

*** სამაგალითო სკოლის დაარსება. მომავალ წლიდან, საქართველოს ეგზარხოსის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის ფლაბიანეს განკარგულებით ტფილისის საქალებო საეპარქიო სასწავლებელთან დაარსდება ერთკლასიანი სამაგალითო სამრევლო სკოლა იმ აზრით, რომ სასწავლებლის მოწაფეთ პრაქტიკულად გაიცნონ სწავლა-აღზრდის არსებული წესები.

*** ძველი ხელთნაწერი წიგნები. ალავერდის ეპისკოპოსმა, ყოვლად-სამღვდელო კირიონმა ჩამოიტანა კახეთიდან 68 ძველი ხელნაწერი წიგნები და შესწირა ტფილისის საეკლესიო სიძველეთსაცავს. ხელნაწერებში ბევრი ძვირფასი წიგნია. სხვათა შორის არის ერთი ტყავზე ნაწერი სახარება მშვენიერ სურათებით და ნახატებით. სახარება გადაწერილია 1059 წ. სახარების შემდეგ სიტყვაობა შეიცავს საყურადღებო ცნობებს სახარების ქართული თარგმანის შესახებ, და ცნობილ ლიპარიტ ორბელიანის შვილის იოანეს შესახებ. ხელნაწერის ბოლოში მოქცეულია კაცხის მონასტრის ქონებათა სია, რომელიც საკუთარი ხელით დაუმტკიცებია გელათის ტაძრის განმანათლებელ მეფე ბაგრატს. ეს სახარება კიდევ მით არის საყურადღებო, რომ იგი გადაწერილია ქართულ მონასტერს კალიპოსში, რომელიც იმყოფებოდა ანტიოქიის მახლობლად და ჰყვაოდა ჯერ კიდევ მე-XI საუკუნეში, იქ იმ დროს, პროფესორის ცაგარელის სიტყვით, იყო 60 ქართველი ბერი და მათ შორის სახელოვანი გიორგი მეუდაბნოე. სამწუხაროდ, არ ვიცით, თუ ვის ხელშია ამ ჟამად ეს მონასტერი და რა სიძველენი იპოვება იქ. ვიცით მხოლოდ ის რომ მონასტერი კალიპოსი ეკუთნოდა ქართველებს ჯერ ისევ მე-XII საუკუნის შუამდე.

*** ნავთის საქმე. რამდენიმე ტფილისელმა მცხოვრებმა ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს თხოვნა წარუდგინეს, რომლითაც შუამდგომლობენ იმის შესახებ, რომ მათ უფლება მიეცეთ გამოიკვლიონ ნავთის წყაროები 90,000 ოთხ-კუთხ საჟენზე „ნავთის ხევში" ტფილისის მაზრის ს. ნორიოდან სამი ვერსის მანძილზე.

*** ქალაქის შემოსავალი. ქალაქის საბჭოს ანგარიშიდან სჩანს, რომ ამ წლის დამდეგიდან 19 ოქ-

ტომბრამდე ქალაქს ჰქონია შემდეგი შემოსავალი: ტივებიდან — 3048 მ., ვერის ნავიდან 205 მ. და 14 კ., ცხენების გადასახადიდან 29.452, მეეტლეთაგან 1059 მ. და 10 კ., ვერის ხიდიდან 9,333 მ. და 10 კ., მნაცაკანის ხიდიდან 6,186 მ. და 60 კ., ქალაქის ადლებიდან 12,490 მ და 89 კ.‘ ეტლებიდან 12,190 მ., ქალაქის სასწორიდან 6,344 მ. და 98 კ., ყავახანებიდან 22,946 მ. და 9 კ., დასადგომ ეზოებიდან 2848 მ. და 36 კ., დაფასების გადასახადთა ჯარიმებიდან 15,684 მ და 23 კ., წყლის მილებიდან 151,960 მ. და 54 კაპ.

*** **ახალი წიგნაკი.** ჩვენ მივიღეთ ექვთიმე ხელაძის მიერ გამოცემული პატარა წიგნაკი „იუდა“, რუსეთის პოეტის ნადსონისა, ნათარგმნი ლექსადვე ბ-ნ ილია ფერაძის მიერ. გამომცემელი წინასიტყვაობაში გვპირდება მრავალ ამგვარ წიგნაკების გამოცემას, რაიც ფრიად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ჩვენში სახალხო გამოცემა ძრიელ ნაკლებად არის.

რაც შეეხება თარგმანს ბ-ნ ფერაძისას, იგი დედანთან სწორია და ლექსებიც მკვირცხლი და ადვილი საკითხავია. წიგნაკი ღირს 3 კაპ.

*** **მცხეთის ტაძრის განახლების საქმე.** 20 ოქტომბერს, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის თავმჯდომარეობით მოხდა მცხეთის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტის სხდომა. სხდომაზე გამოირკვა, რომ ხსენებულ ტაძრის განსაახლებლად შემოსულა 16,000 მანეთამდე, რომლიდანაც 2,000 მან. შეწირულია დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის მიერ; 3,000 მ. კავკასიის მთავარ-მართებლის გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინის მიერ; 1,000 მ. — საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მიერ; 1,500 მ. — გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიერ და 1,111 მ უწმ. სინოდის მიერ. დანარჩენი ფული (7,400 მან.) შემოსულა ზოგი რუსეთიდან და ზოგიც ადგილობრივ მოუგროვებიათ. რუსეთიდან, სხვათა შორის, აზნაურის ქალს ზოა ცელიარიცკის გამოუგზავნია ოქროს სამაჯური 7 ძვირფასი ქვით, იმ თხოვნით, რომ ოქრო მოხმარდეს ტაძრის გამშვენებას, ხოლო ქვებით კი შეიმკოს კანკელის ხატების ერთ-ერთი შესამოსელი.

თუმცა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსის მოწოდების შემდეგ, შემოსავალს შესამჩნევად უმატნია, მაგრამ მთელი შემოსული ფული მაინც კიდევ უმნიშვნელოა, რადგან მცხეთის ტაძარს მარტო სახურავისათვის სჭირია 40,000 მ., ხოლო განახლებისათვის 200,000 მან. მეტი. ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ საკმაოა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიძებნოს საშუალება ტაძრის განსაახლებლად, კომიტეტმა დაადგინა: დაეგზავნოს ექსარხოსის სახელით წერილები რუსულსა და ქართულ ენაზე ყველა გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს, პოლიცმეისტრებს, ოლქთა უფროსებს და დივიზიების უფროსებს და ეთხოვოს მათ დახმარება შემოწირულებათა შეგროვების საქმეში. ამავე აზრით, კომიტეტმა დაადგინა თხოვოს ყოვლად-სამღვდელო ლეონიდს, იკისროს კაცების გაგზავნა რუსეთის უმთავრეს ქალაქებში: პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა, ხარკოვსა და ყაზანში, რის შესახებ სთხოვოს ნება-რთვა ექსარხოსს. ხოლო შემოწირულებათა შემკრებლებად გაგზავნილ იქმნენ დიდუბის ეკლესიის მღვდელი მ. კ. ცინცაძე და მღვდელი მ. ხახუტაშვილი.

*** **ვაზის წამლობის საქმე.** მინისტრთა კომიტეტს უმაღლესად დამტკიცებულ დადგენილების თანახმად, ის იარაღები, რომლებიც საჭიროა ვაზისა და ხეხილის ავადმყოფობის ასაშორებლად და საექიმოდ, მიიღება საზღვარ-გარეთიდან 5 წლის განმავლობაში უბაჟოდ. ამის გამომიწად-მოქმედების დეპარტამენტი სთხოვს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, გვაცნობეთ ის ნივთიერებანი, რომლებიც ჩაირიცხება უბაჟოდ შემოსატან აპარატების სიაშიო.

*** **მებაღეთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება.** ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება მებაღეთა საურთიერთო დახმარებისათვის.

*** **ხორცის ნიხრის შემცირება.** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნეს ნიხრი გირვანქა ძროხის ხორცზე $6^1/_2$ კაპიკამდე და ცხვარზე — $7^1/_2$ კაპიკამდე.

*** **ცხენის რკინის გზის საქმე.** 24 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობამ და საბჭო კომისიამ, უსახელო საზოგადოების დირექტორის ბ. რობის მონაწილეობით განიხილეს ახალი ხელ-შეკრულება ტრამვაის წარმოების შესახებ. ხელ-შეკრულებას ხელი მოაწერეს გამგეობამ და კომისიამ ერთი მხრით და რობიმ მეორე მხრით. ხელ-შეკრულების უმთავრესი მუხლები, ქალაქის მიერ წარმოების შესყიდვის უფლებისა და აგრეთვე გადასახადის რაოდენობის შესახებ, დარჩა იგივე, როგორიც იყო ბ. რობის უკანასკნელ წინადადებაში. (ხოლო 15 წლის ვადა შემცირებულია რვა თვით.).

*** **ტფილისის საბაღოსნო სკოლის საქმე.** 28 ოქტომბერს სამეურნეო საზოგადოების საბჭო განიხილავს საგანგებო კომისიის მოხსენებას ტფილისის საბაღოსნო სკოლის დღევანდელ მდგომარეობის და იმ ზომების შესახებ, რომელიც საჭიროა აღნიშნულ სკოლის საქმეთა მოსაწეს-რიგებლად.

*** **მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა კავკასიაში.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ზოგიერთი წევრები ადგენენ ამ ჟამად კავკასიაში მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის მდგომარეობის ვრცელ მიმოხილვას იმ ზომების აღნიშვნით, რომლების მიღება სასურველია ამ საყურადღებო სამეურნეო დარგთა გასაუმჯობესებლად.

*** **ს. ვანი** (გურია). **ეკკლესიის მდგომარეობა.** აგერ ერთს წელიწადზე მეტია, რაც ადგილობრივ ეკკლესიის შენობა დახურვას საჭიროებს და მზრუნველ-გულშემატკივარი-კი არავინა ჰყავს. მართალია, ყოველ კვირა-უქმე დღეობით წირვის დროს ეკკლესიის შენობის მზრუნველებად არჩეული პირები ძალიან ხმა-მაღლა ლაპარაკობენ: გაფუჭდა საყდრის შენობა, მივეშველოთო, ხუმრობა არაა ათი ათასი მანათის ასე დაღუპვაო, მაგრამ ეს ლაპარაკი მარტო უქმე დღეებშია, ისიც სადილობამდე, ხოლო დანარჩენ დროს-კი ვერავის ნახავთ ისეთს, რომ ამ ეკკლესიის უპატრონობის გამო სწუხდეს. აქ ყველანი დამნაშავე ვართ. ფულს ბლომად ვიხდით ეკკლესიისთვის, ხოლო იმის გამოკვლევა-კი ვერ მოგვიხერხებია, ერგება თუ არა მიმღებს ეს ფული. მიგვინებებია ეკკლესიის თაობაზე ზრუნვა და საქმის წარმოება რამდენისამე პირისათვის და პასუხს კი არა ვსთხოვთ მათ იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ. მათ-კი თვისი მოვალეობა მთლად დაავიწყდათ და თვის პირად ინტერესებს ანაცვალეს. მღვდელმა ძველი ეკკლესიის ხის მასალებიდან ახალი სამწირველო გაიკეთა, ისიც სოფლის შემწეობით და რამდენ ხანსაც უნდა დარჩეს ახალი საყდარი გაუკეთებელი, მას არც ერთს მღვდელ-მოქმედებაში უეკკლესიობა ხელს არ შეუშლის და არც ერთ შაურამდე სარგებლობა არ აკლდება. ეკკლესიის მშენებელმა ბერძენმა მისაღები ფულები საქმის გაკეთებამდე მიიღო იმის მომიზეზებით, რომ გუმბათი შეიკვრება თუ არა, დაუყონებლივ უნდა დაიხუროს, თორემ შენობა დაზარალდებაო და ის ოცი თუმანი, რომელიც შარშან შენობის დასახურავად მოვაგროვეთ, ბერძენმა სულ თავის საკუთარ მოთხოვნილებას მოახმარა, ხოლო ეკკლესიის შენობა იმ დიდ ზამთარში დაუხურავად დასტოვა.

თეოფ. მა—ძე

*** **ს. ასკანა** (გურია). **აფთიაქის საჭიროება.** დღეს ასკანელებმა, როგორც იქნა, შეიგნეს თუ როგორ საჭიროა მათთვის აფთიაქი და მასთან კარგი გამოცდილი ფერშალი.

თუმცა ეს სოფელი მომაღლო ადგილზე მდებარეობს და მასთან ყველა ექიმები და გამოცდილი პირები აქებენ აქაურ ჰაერს, მაგრამ ეს ქება წელს ველარ გამართლდა. ჯერ იყო და, ასკანაში მძვინვარებდა სასტიკი „ციებ-ცხელება“, რომელმაც არა ერთი და ორი ახალგაზდა და მოხუცებული იმსხვერპლა. შემდეგ ამ სენს ზედ დაერთო ყელ-ჭირვება და მუცელა, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში, სოფ. გვაბრეთში, რვა ძუძუ-მწოვარა, თუ ცოტა უფროსი ბავშვი იმსხვერპლა. ყელჭირვება ჩვენში უცხო სენი იყო და ის აქ დროზე ვერ გამოიცნეს. ეხლა ამ სენს ყველა ისე უფრთხის, როგორც წიწილა ქორს, მაგრამ სიკვდილის შემდეგ სინანული არ არის. ადგილობრივმა პოლიციამ და ექიმებმა ჯეროვანი ზომები მიიღეს სენის წინაამდეგ. პოლიციამ აცნობა ექიმს დ. ჩოხატაურში, ექიმმა გამოგზავნა ფერშლები ხელად მისაშველებელი წამლები, და უნდა ვთქვა, რომ რომელ ავადმყოფსაც კი დროზე მიუსწრეს, ყველა განკურნეს, მაგრამ საქმე აი რა არის. დ. ჩოხატაური სძევს ს. ასკანაზე თოთხმეტი ვერსის თუ მეტ მანძილზე, ქ. ოზურგეთი 15—16 ვერსზე; ნაგომარის აფთიაქი 8—12 ვერსის მანძილზე, და „პეტრეს მოსვლამდი, პავლეს ტყავი გააძრესო“, რომ იტყვიან, ისე დაგვემართა, სანამ ერთ ერთ ალაგას ექიმისათვის მივმართავდეთ, მანამდე საწყალ ბავშვებს ყელი სრულიად უხმებათ და ექიმს ან ფერშალს ცოცხალ-მკვდრები ხვდებიან და დაკლულ პირუტყვივით აფხაკუნებენ ფეხებს. რაქნას ასეთ შემთხვევაში ექიმმა ან ფერშალმა, რომელ ფერშალსაც თავისთვის აქვს წამლები სახლში გასასყიდლათ, ის მაინც უწერს ავადმყოფის მშობლებს წამლებს, ხოლო ვისაც თავისი წამალი არ აქვს, ის გამოურკვეველ მდგომარეობაში ვარდება და თავ-ჩაკიდული ცოლშვილ დაწყვეტილსავით მიდის სახლში დარცხვენილი. ამას წინად ასკანის საზოგადოებამ დაადგინა

განაჩენი აფთიაქის დაარსებაზედ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ ველირსეთ მას. ხალხი აღდგომასავით ელის ამ საგნის შესახებ რაიმე განკარგულებას, მაგრამ ჩვენი მუცლის ტკივილი არავის ედარდება! როგორც ისმის, საქმის ასეთი დაგვიანება მან უფრო გამოიწვია, რომ მეზობელ ბასილეთის და ბახვის საზოგადოებამ, რა რომ გაიგო ასკანაში აფთიაქი იხსნებაო, იმათაც ითხოვეს აფთიაქის გახსნა, რაზედაც ასტყდა დიდი ხნიდან არსებული სენი „ჯაშუშობა", „სიცრუე" და სხ. ორივე იმას გაიძახდა, არა აქ გვეკუთნის აფთიაქი და არა აქაო, და ახლა მგონი, ორივეს უარი უყვეს აფთიაქის გახსნაზე. ჩვენი ფიქრით, დიდი საყვედურის ღირსია ბასილეთის და ბახვის საზოგადოება და აი რატომ: პირველ საზოგადოებას დ. ჩოხატაური, სადაც სამი ექიმია, სამი ფერშალი და აფთიაქი, აკრავს 6—7 ვერ. მანძილზე, მეორე ქ. ოზურგეთი—რვა ვერს. სიშორეზე. ორივე საზოგადოებას გარემოება ნებას არ აძლევს, ორი საათის განმავლობაში მოიყვანოს ექიმი და იმედებით მაინც გული დაიმშვიდოს; ასკანელების საქმე კი სულ სხვაა. ოზურგეთის ექისს, რომ უთხრათ, ასკანაში ავადმყოფი მყავს და წამობრძანდიო, ზარბაზანს არ დაგიკავებს. არც ეკიენება ეს, რადგანაც თითონ ავადმყოფი კაცია და მასთან აქ ისეთი ცუდი გზებია, რომ ეტლს თავის დღეში არ გაუვლია, ხოლო ცხენზე კი თითონ საექიმოთ გახდება. ღმერთმა უშველოს ჩოხატაურის ექიმს' ბ. ქუთათელაძეს, რომელიც დროგამოშვებით თითონ დადის ჩვენ სოფელში და ნახულობს ავადმყოფებს, ღარიბებს უსასყიდლოთ უგზავნის წამლებს და ხშირად მოსამსახურე ფერშლებსაც, რომლებიც თითქმის ყანაშიაც კი დაეძებენ ავადმყოფ კაცს. ყველა დამეთანხმება, რომ ს. ასკანაში აუცილებელად საჭიროა აფთიაქი და მასთან გამოცდილი ფერშალიც. სასურველია, რომ ამ გარემოებას, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს, თორემ ლამის არის ათასგვარი გარდასახადის და სხვა მოთხოვნილებისაგან შევიწროებულ-შეწუხებული ხალხი საოწარკვეთილებაში ჩავარდეს.

ყარანი

*** **ს. შაშიანი.** (კახეთი) მოსავლობა. ეს სამი წელიწადია, რაც შაშიანში პურ-ღვინის მოსავალი არ მოდის და ამიტომ ამ სამ წელიწადში ძალიან შევიწროვებულ ცხოვრებაში ჩავარდა ამ სოფლის ხალხი. მარტო პური რომ მოსვლოდათ, კიდევ არაფერი, თუ პური ექნება გლეხ-კაცს უღვინოდ გასძლებს, თუ ღვინო მოუვიდა მაშინ ღვინოს გაჰყიდის და პურს იყიდის. მაგრამ ამ სამ წელიწადში ორივე ნაკლებად მოვიდა, ყურძენი ხან დაისეტყვა, ხან რქა არა ჰქონდა კარგი, რადგანაც ნასეტყვი იყო და ხან მოუწამლავი იყო. წელს-კი არც დასეტყვილა და რქაც კარგი ჰქონდა მიუხედავად საფერავისა, რომელიც ამ ზამთარს გახმა შიგა და შიგ, დიდი სიცივეების გამო. გლეხ კაცებს უხაროდათ და იძახოდნენ: "ეხლა-კი ღმერთმა მოგვხედა დი მოუწამლავსაც დავანარჩუნებთო, თავად შარშან არ მოვწამლეთ და დავიღუპეთო". მართლაც ზოგმა თითონ საკუთრივ მოწამლა, ზოგმა-კი რადგანაც მოწამლის სახსარი არა ჰქონდათ მიჰმართეს სხვა და სხვა პირებს და მოაწამლინეს სანასამელოთ და სანაოთხლოთ. გლეხებმა დაწურეს ყურძენი და ელოდნენ მოუთმენლად მუშტარს, გაეყიდნათ და მოეშორებინათ თავიდამ მამასახლისი, ღვდელი და სხვა და სხვა მოვალეები, რომელნიც ღვინის გაყიდვას ელოდნენ, რომ ეელოთ თავიანთი ხვედრი ფული, და თუ დარჩებოდა რამე შინ ოჯახში დაეხარჯნა. მართლაც დაწურეს ყურძენი და დაიდუღა თუ არა მაჭარმა, მოვიდნენ სირაჯები. გლეხებმა რაკი გაიგეს სირაჯების მოსვლა, მიდიოდნენ და ეხვეწებოდნენ: „წამო ჩემი ღვინო ნახე, როგორც იქნება მოგირიგდებიო" სირაჯიც ჰფიქრობს, უთუოდ ფული უჭირს და იმისთვის მეხვეწებაო და ეტყოდა; „არ მინდა ბევრი ვიყიდო, ჭურჭელი აღარც-კი მაქვსო" მერე წავიდოდა, და რაც უნდა კარგი ღვინო ყოფილიყო 40—60 მანეთამდის შეაძლევდა. გლეხ-კაცი რა დაინახავს მეტს არავინ იძლევაო და ფული-კი ძალიან უჭირს ვალის აღებას ისევ იაფად გაყიდვას რჩეობს და ნახევარ ფასად აძლევს თავის ოფლით ნამუშოვარს.

თელაველი.

## თეატრის მატიანე

**დ. ზესტაფონი** რუსული წარმოდგენა. აკი გითხარით ზესტაფონს ნუ ეხუმრებით მეთქი, მაგრამ რომ არ დაიჯერებთ! აქ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ კვირა დღეებში ქართული წარმოდგენა იმართებოდა, არც რუსული ჩამორჩენილა უკან. ან კი რათ ჩამორჩება, მე თქვენ ბეტყვი ხალხი არ ესწრება თუ? ქართული რომ ჩამორჩეს უკან არ არის გასაკვირი და თითქმის ასეც არის...

აგერ მეორეჯერ ჩამოიყვანეს აქ ქუთაისიდამ სამხედრო მუსიკა და ზესტაფონელები სულ თავდა ყირა დააყენეს. ერთი ამ თავდა-ყირაობათაგანი კახლდათ 18 ოქტომბერს გამართული რუსული წარმოდგენა, რომელიც გამართა ბ-ნმა ზლობინმა (ადუნინ) თავის სასარგებლოთ.

შვიდი საათი იქნებოდა, რომ სამხედრო მუსიკის გრიალმა მორეკაა ხალხი უზომოთ და ბევრი ისეთებიც იყვნენ, რომ რუსულის არა გაეგებოდათ რა. თეატრში ადმინისტრატორობდა რკინის გზის სადგურის უფროსი ბ. ბელიაკევიჩი და, როგორც სადგურის უფროსი, ყველგან სტოროჟები" ჰყავდა წეს-რიგის დასაცველად დაყენებული, მაგრამ, რადგან „სტოროჟებს" ბევრი და თითქმის სულ არა გაეგებოდათ რა თეატრის, ამიტომ თქვენგან მოწონებული უწესოება სუფევდა შიგ. წარმოდგენა სამ მოქმედებიანი კომედია იყო, „ფოფანი" და სიმართლე უნდა მოგახსენოთ, მოთამაშეებს არა უშავდათ რა. რაც შეეხება ცხოველ სურათებს, კარგები იყვნენ ორი სურათი ღემონიდგან და ერთიც წამება საშუალო საუკუნოებში. დასასრულ გამართული იყო დივერტისმენტი და საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა. საზოგადოება ბლომათ დაესწრო, შემოსავალი ას მანეთამდე იყო.

დამსწრე

## რედაქციისაგან

აფრიკელ მონღოლს თქვენ წერილი არც მარკიანი და არც უმარკო არ მიგვიღია. საზოგადოთ ჩვენ უმარკო წერილებს არ ვღებულობთ. შეგიძლიანთ მეორედ გამოგზავნოთ იმავე საგანზე წერილი.

## სამეურნეო ცნობა

ქიმიური ცვლილება ფქვილიან და ზეთიან თესლების ამოსვლის დროს,

ზეთოვანი მცენარეების თესლებიდან ნემეცების მეცნიერმა პოლლივკერმა გამოიძია გოგრის თესლი.

| შემადგენელი ნივთები | ამოსვლამდე | უმთავრესი ძირის გამოჩენის შემდეგ |
|---|---|---|
| ზეთი . . | 136 გრ. | 103 გრ. |
| გლიუკოზი | ნიშანი | 2,4 " |
| წებოები . | ნიშანი | 2,5 " |
| სახამებელი | 0— | 9 " |
| უჯრედები | 8— | 9 " |
| ცილ. ნივთ. | 110 | 109 " |
| ნაცარი . | 14 | 14,1 " |
| გაურჩ. ნივთ. | 7 | 27 " |
| ხმელი ნივთ. | 276 | 274 " |

| ჩინჩლების გამოსვლის შემდეგ | ქვედა თესლ. ბიბილო. მუხლის გაწრ. შედ. | გამოცდილების შემდეგი |
|---|---|---|
| 56 გრ. | 13 გრ. | 126 გრ. |
| 9 " | 13 " | 12 " |
| 3,5 " | 6 " | 6 " |
| 17 " | 6 " | 6 " |
| 12 " | 21 " | 13 " |
| 98 " | 94 " | 16 " |
| 14,5 " | 18 " | 4 " |
| 33 " | 43 " | 36 " |
| 245 " | 215 " | 61 " |

რომ ეს გამოცდა გამოვიკვლივოთ, შევატყობთ, რომ ზეთი ბლომათ მოაკლდა, ცილოვანი ნივთები კი სულ ცოტა აქედან სჩანს, რომ ზეთს იმისთანავე დანიშნულება აქვს, როგორც სახამებელს ზემოხსენებულ ცდაში. რამდენი ზეთიც იკარგება იმდენი ემატება უჯრედები, შაქარი (გლიუკოზი), წებო; ამას გარდა სახამებელი აღმოჩნდა, რომელიც ზეთიდან მჟავდედის ძალით გაჩნდა. ზეთიდან პირველად ჩნდება სახამებელი, ამისგან გლიუკოზი და ბოლოს უჯრედები.

ნ. მკურნალი

(შემდეგი იქნება)

## სამეცნიერო ცნობა

გმელ ჟამიერი სიცოცხლე*). 1876 წელს პარიზში დაასაფლავეს ტერეზია ფიდლერი - 116 წლისა იყო დაბადებიდან; ერთი წლის წინად კარგად ლაპარაკობდა, მადა ჰქონდა მშვენიერი და მხიარულადაც ატარებდა დროს. სრული ერთი საათი ლაპარაკს უსმენდა. დედათა სქესს არამც თუ დიდხანს სიცოცხლე შეუძლიანთ, არამედ ზოგიერთები შვილოსნობასაც არა ჰკარგავენ ღრმა სიბერემდე, მაგალ.: ერთმა ინგლისელმა ქალმა, მერი პრესკოტტმა 105 წელიწადი იცოცხლა, რომელსაც 37 შვილი ეყოლა.

ეს კიდევ არაფერი. ზოგიერთი ქალები იყვნენ, რომლებსაც სილამაზე სიბერემდის მიჰყვათ. ამის მაგალითს გვიჩვენებს შესანიშნავი პოლინა დე-ვინიე, რომელიც ტულუზიდან იყო. ეს ქალი იმისთანა კეკლუცი და მშვენიერი არსება იყო, რომ როცა ქუჩაში დადიოდა, მთელი ბრბო ხალხისა საცქერლად მისდევდა. ტულუზიის პარლამენტმა ბრძანება გამოსცა, რომ როცა პოლინა დე-ვინიე სასეირნოდ გამოვიდეს, უეჭველად პირბადე გაიკეთოს, რადგანაც ქუჩებში იმის მაცქერალი ხალხის ბრბო მშვიდობიანობას არღვევსო. პარლამენტის ამგვარმა დადგენილებამ ხალხი ძალიან აღელვა და შემდეგ ქალს ნება მისცეს, კვირაში მხოლოდ ორჯერ, პირბადე ახდილს ფანჯრიდან გადმოეხედნა. პოლინა დე-ვენიეს სილამაზემ 80 წლამდე გასტანა.

რუსეთში ერთის ჯარის-კაცის ქვრივი, ირინე რუდაკოვისა 148 წლისა გარდაიცვალა. ცხოვრება სულ უბრალო ჰქონდა; მხოლოდ ლოთი-კი არ იყო და გამუდმებით მოსარეცხობას ეწეოდა.

უკვე ცნობილია, რომ მრავალნი ფილოსოფოსნი და მეცნიერნი ღრმათ მოხუცებულნი დაიხოცნენ. საფრანგეთის წარჩინებული ქიმი-

*) იხ. «ცნ. ფურცლის» № 666

კოსი შევრეილი 102 წლისა, 7 თვისა და 9 დღისა გარდაიცვალა. შევრეილი ძალიან მხიარული ხასიათის კაცი იყო. ცხოვრებას ამ რიგად ატარებდა: დილით 5 საათზე დგებოდა, სჭამდა თბილ წვენს, წიგნს ქვეშსაგებში კითხულობდა, 11 საათზე საუზმობდა: წვენს, ხორცსა და რძით ყავას; ორ საათზე ეტლით დასეირნობდა, 5 საათზე სახლში ბრუნდებოდა და თითო ჭიქა რძეს სვამდა. სადილობდა 7 საათზე (ერთის არაყით) და შემდეგ იძინებდა. როდესაც იმისი თანაშემწე არნო მოვიდოდა, შეეკითხებოდა ხოლმე: დღეს კარგად გეძინათ თუ არა? შევრეილი უპასუხებდა: მე ჩემს სიცოცხლეში არა მძინებია მოუსვენრათაო. ერთი გასაოცარი კიდევ ის არის, რომ ზოგიერთებს მთელი ერთი საუკუნე უცოცხლიათ, თუმცა საშინელი ლოთობისა და გარყვნილობის მეტი სხვა არა უკეთებიათ რა. მაგალ: იოანნა აბეტამ 155 წელიწადი იცოცხლა, რომელიც საშინელი არყის ლოთი იყო: გარდაიცვალა 1825 წელს.

გასკონელი ყასაბი ფილიპე ლარროკი 102 წლისა მოკვდა, რომელიც გამუდმებით კვირაში ორჯერ უგრძნობლად ითრობოდა.

ორმა ხირურგმა: პოლინამ 140 წელიწადი იცოცხლა და ესპანიომ 112 წელიწადი, რომლებიც მუშაობის შემდეგ ყოველ ღამეს ითვრებოდნენ.

ირლანდიელი მებატონე ბრაუნი 120 წლისა მოკვდა, რომლის საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერა არის: „ამ ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ ბრაუნი, რომელმაც 120 წელიწადი ვიცოცხლე, რისთვისაც მადლობას ვსწირავ ჩემს საყვარელ ლუდს. ყოველ ცისმარე დღეს დავდიოდი მთვრალი, ისე რომ თვით მკაცრს სიკვდილსაც-კი ეშინოდა ჩემი, ხოლო როცა განვიზრახე ლოთობისთვის თავი დამენებებინა, სწორედ მაშინ მიმუხთლა სიკვდილმა და დამიმორჩილა“.

ინგლისელმა მეცნიერმა ნეისსონმა 6,111 ლოთი კაცის სხეული გაშინჯა, რომლებიც 16—90 წლამდის იყვნენ და აღმოაჩინა, რომ ორთა შუა რიცხვით ლოთი კაცები ინგლისში სამჯერ მეტი იხოცებიან. 20 წლის კაცი, რომელიც არა ლოთობს, შეუძლიან იმედი იქონიოს, რომ კიდევ 44 წელიწადი განაგრძოს სიცოცხლე, მაშინ, როდესაც ლოთი კაცი 15 წელიწადსაც ვერა სცოცხლობს. როგორც სასტატისტიკო ცნობებიდან სჩანს, ყველა გამოჩენილი მეცნიერები სრულიად ეთანხმებიან ნეისსონის აზრს და თუ ზოგიერთი ლოთი კაცები თითო საუკუნეს სცოცხლებენ, ეს იშვიათი მოვლენაა, რომელსაც კაცობრიობამ ისე უნდა შეხედოს, როგორც ყველა ბუნების რამე გასაოცარ მოვლენას და მხარი აუქციოს.

ივ. კავთელი

## ყურმოკრული საუბარი

ერთს ფრანგის ოჯახში ინგლისელს სტუმარს ჩაი მიართვეს. სასაქრეზე შაქრის ასაღები ჩანგალი იდო, სტუმარმა კი ხელით ამოიღო შაქარი და ჩაი დაშაქრა. ოჯახის ქალმა დაინახა თუ არა რომ სტუმარი ხელით შეეხო შაქარს, სტუმრის თვალ წინ სასაქრე და ყველა შაქარი ფანჯრიდან გადაყარა,—ხელ ახლად გაავსო შაქრით და ისევ მაგიდაზე დადგა.

სტუმარმა ეს გარემოება, თითომ-და აინუშიაც არ მიიღო, გაათავა ჩაი და დინჯად სტაქანი ლამბაქიანად იმავ ფანჯრიდან გადაისროლა და არხეინად მაგიდას მიუჯდა. რათ ინებეთ სტაქნის გადაგდებაო—შეეკითხენ ინგლისელს.

— მე მეგონა, რომ თქვენში ჩვეულებად აქვთ შაქრისა და ჭურჭლების ფანჯრიდან გადაგდებაო, ცბიერად მიუგო ინგლისელმა.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ოქტომბერი

**პარიზი.** მინისტრთა საბჭომ განიხილა ფაშოდის საქმე. სჯა-ბაასის შედეგები საიდუმლოთ აქვთ დაცული. საფიქრებელი, რომ რადგან ფაშოდაში გამაგრება შეუძლებელად არის აღიარებული, მარშანს გაეგზავნება ინსტრუქციები ეგვიპტის ჯარების კამანდირზე გადასაცემად.

**კანეა.** საერთაშორისო ჯარები ციხესდაეპატრონენ. იტალიის ქვეითმა ჯარმა დაიჭირა არტილერიის ბასტიონი.

**კანეია.** ოსმალეთის ჯარის დანარჩენი ნაწილი, გარდა რამდენიმე ასი კაცისა, შესვეს გემებზე ბუხეტში. ღამის სამ საათზე საერთაშორისო ჯარებმა დაიჭირეს კანეიას თხრილები და ყველა ოსმალეთის კაზარმები. ადმირალებმა გამოსცეს პროკლამაცია, რომლითაც მცხოვრებლებთ განსაკუთრებით მოსლემანთ, დაცვას ჰპირდებიან.

**პარიზი.** მე-11 კორპუსის კამანდირი გენერალი ბრო დანიშნულია ჯარის უმთავრესი შტაბის უფროსად, გენერალ ჩენუარის ადგილზე, რომელიც დაინიშნა მე-11 კორპუსის კამანდირად. გენერალი პამარი დანიშნულია სამხედრო მინისტრის კანცელარიის მმართველად.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. დიუპუი კითხულობს სამინისტროს დეკლარაციას და შემდეგ ამბობს: „ჩვენ ნათლად აღვნიშნეთ დეკლარაციაში მთავრობის განზრახვანი და პროექტები, მთავრობას არ აქვს განზრახვა მოითხოვოს ახალი კანონები, რადგან არსებული კანონები საკმარისია წესიერების უზრუნველსაყოფელად და ჯარის დასაცველად (ტაშის-ცემა). რაც შეეხება დრეიფუსის საქმეს, ჩვენ პირისპირ ვუდგივართ მართლ-მსაჯულებას. ჩვენ ვაიძულებთ ყველას, რომ პატივის-ცემით მოეკიდნენ მის დადგენილებათ. საქმეს სინათლე იმ დღეს მოეფინება, როცა მართლ-მსაჯულება თავის განაჩენს წარმოსთქვამს, რომლის წინაშე ჩვენ ქედს მოვიდრეკთ“. (ხანგრძლივი ტაშის-ცემა). დიუპუი დასძენს, დავემყარებით რესპუბლიკელთა უმრავლესობასაო (ტაშის-ცემა) სოციალისტი რუანე კითხულობს: რა ზომების მიღება აქვს განზრახული მთავრობას, რომ თვისი ნება დაუკანონოს სამხედრო მთავრობას და ხელი შეუშალოს ადრინდელ უსიამოვნების განახლებასაო? კამათი დასრულდა. პალატამ 429 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 64-სა, შემდეგი სახით მიიღო მორიგ საქმეებზე გადასვლის წესი: „პალატა, იწონებს რა მთავრობის დეკლარაციას და მიანდობს-რა მის ნება-ყოფილებას გაატაროს ცვლილებათა პოლიტიკა; რესპუბლიკელთა უმრავლესობის სურვილის თანახმად, გადადის და სხ...

**კანეა.** ქალაქის თვალ-საჩინო ადგილების დაჭერა მოხდა წესიერების დაურღვევლად. ოსმალეთის დროშა აღმართულია ოთხი დიდი სახელმწიფოს დროშებთან ერთად. მაჰმადიანები ხელ-შეუშლელად ბრუნდებიან თავიანთ ადგილ-მამულში, კუნძულის შიგნით. ქრისტიან მცხოვრებთ იარაღი აჰყარეს ხუთ დღეში.


# განცხადებანი

იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „

ალექსანდრე ეპისკოპოსი 2 „

სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . 2 „

პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ცალს ას გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველს მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. (30—15)

**Годъ второй.** ОТКРЫТА ПОДПИСКА **Годъ второй.**

на **1899** годъ

*на еженедѣльную литературно-политическую и научно-популярную газету*

## „РОССІЯ И АЗІЯ“

(Подписной годъ съ 1 Ноября 1898 г. по 1 Ноября 1898 г.)

Годовая цѣна безъ доставки **5 руб.**, съ доставкой и пересылкой—**6 руб.**, заграницу **7 руб.**, за полгода безъ доставки **3 руб.**, съ доставкой и пересылкой **4 руб.**, заграницу—**5 руб.** Допускается разсрочка для годовыхъ подписчиковъ по 3 руб. въ два срока, или по 2 руб. въ три.

Адресъ Редакціи: *КІЕВЪ. Паньковская, д. № 12.*

Газета дастъ въ теченіе года: 1) 50 номеровъ «Научно-литературнаго отдѣла», посвященнаго Востоку, еврейству, инородцамъ, **Кавказу**, Туркестану и Сибири и 3) 4 книги приложеній подъ названіемъ „Альманахъ Россіи и Азіи», въ которои войдутъ;

I. **Арменія**. Сборникъ статей различныхъ Русскихъ и иностранныхъ авторовъ объ Арменіи, ея исторіи, литературѣ о отрывки изъ произведеніи Армянскихъ писателей.

II. **Спиноза.** Біографія и лучшія произведенія знаменитаго Еврейскаго философа-пантеиста съ критическимъ комментаріемъ.

III. I томъ «Полнаго Собранія сочиненіи» знаменитаго романиста Георга Еберса, автора романовъ «Дочь Египетскаго царя», «Императоръ» и пр.

IV. **Моріеръ.** Мирза Хаджи-Баба Исфагани. Новый переводъ съ Англійскаго по порученію Редакціи. (Эта книга была переведена въ сороковыхъ годахъ Барономъ Брамбеусомъ и представляетъ изъ себя романъ, состоящій изъ забавныхъ, юмористическихъ сценъ изъ жизни Востока вродѣ Жильблаза Лесажа),

Всѣ годовые подписчики „Россіи и Азіи“ за прошлый годъ будутъ получать изданіе цѣлый годъ БЕЗПЛАТНО. Оставшіеся экземпляры „Россіи и Азіи“ за прошлый годъ новые подписчики могутъ получить за 3 руб.

Объявленія—10 коп. строка корпуса.

(7—2) Редакторъ-издатель прив. доц. **А. Н. Гренъ.**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Октября 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ტუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ზუნია